საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის დოკუმენტაცია

CPV - 45200000

(წინამდებარე შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხისა და შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილების საფუძველზე)

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ელექტრონული შესყიდვის პროცედურები (შემდგომში - პროცედურა) ხორციელდება შესყიდვების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N321 დადგენილების საფუძველზე.

1.2. პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს კომისია. ამასთან, ქართულენოვან ტექსტში უცხოენოვანი სიტყვ(ებ)ის გამოყენების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს აღნიშნული სიტყვ(ებ)ის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობის თაობაზე.

1.4. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, მხოლოდ იმ პირობით თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.

1.6. საიდუმლო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად.

1.7. პრეტენდენტის წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადისა და ხარჯების გათვალისწინებით. წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.8. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

წინამდებარე დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ამასთან, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, გულუას ქუჩა N8, მე–3 სართული. **საკონტაქტო პირ(ებ)ი:** ირინე დვალი - ტელ: 577-540-740

2. ტექნიკური დოკუმენტაცია:

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1.1. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

2.1.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება დაინტერესებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს გადაეცემათ შესაბამისი მომართვის საფუძველზე.

2.2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

2.2.1. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **67384 (სამოცდაშვიდი ათას სამას ოთხმოცდაოთხი) ლარს.**

2.3. საგარანტიო პირობები:

2.3.1. ინფორმაცია საგარანტიო ვადების შესახებ დაინტერესებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ს გადაეცემათ შესაბამისი მომართვის საფუძველზე ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

2.3.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

2.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი:

2.4.1 სამუშაოების შესრულების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.**

2.4.2 სამუშაოების შესრულების ვადა: **საქართველო**

2.5. სატენდერო წინადადების ფასი:

2.5.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.2. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 ანაგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

2.6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

2.6.3 საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის (ორგანიზაციის) მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეული ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ გაცემული დასკვნის საფუძველზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად). ექსპერტიზის მომსახურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

2.6.4 ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ მხრიდან დადასტურებული სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა N3) და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველი უფლებამოსილია ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 80%-ის ოდენობით.

2.6.5 შესრულებულ სამუშაოზე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, წინამდებარე მუხლის 6.4 პუნქტის გათვალისწინებით.

2.6.6 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა მიმწოდებელ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

2.6.7 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 35%-ის ოდენობით, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 90 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადას).

2.6.8 ავანსად მიღებული თანხის გამოქვითვა მოხდება პროპორციულად.

2.7 <u>ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტი</u>

ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს მხოლოდ საკუთარი რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია

2.8 <u>შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი დოკუმენტები და პროცედურა</u>

2.8.1 პრეტენდენტებს შეუძლიათ გამოხატონ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილეობის ინტერესი შემდეგი ფორმით: **ერთიან ელექტრონულ სისტემაში განცხადების გამოქვეყნებიდან წინადადების მიღების თარიღის დასრულებამდე - არანაკლებ 12 საათით ადრე,** შემსყიდველ ორგანიზაციაში - შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში (გულუას ქ. N8) უნდა წარმოადგინონ წერილი ინტერესის გამოხატვის თაობაზე (დანართი N1-ის შესაბამისად), რომელსაც უნდა დაურთონ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა (ფორმა N4). შემსყიდველი უფლებამოსილია დაგვიანებით ან/და არასრულყოფილად წარმოდგენილი წერილები არ განიხილოს.

2.8.2 ინტერესის გამოხატვიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაგზავნას დაინტერესებული პირისათვის, საიდუმლო წესით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, დოკუმენტების გაგზავნა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

2.8.3 ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა კომპანიამ, საიდუმლო წესის დაცვით შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია/ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2.8.4 წინამდებარე დოკუმენტაციის 2.8.3. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში, საიდუმლო წესის დაცვით, შემსყიდველ ორგაიზაციაში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას შესყიდვის ელექტრონული პროცედურიდან და შემსყიდველი მიმართავს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

2.8.5 პრეტენდენტი ვალდებულია, შემოთავაზებული საქონლისა და ფასების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაციაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს დაზუსტებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

2.9 <u>დოკუმენტის გაცნობის უფლება</u>

2.9.1 შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში მონაწილე ნებისმიერ პრეტენდენტს, უფლება აქვს გაეცნოს ამავე შესყიდვის ელექტრონულ პროცედურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, მათ შორის: პრეტენდენტ(ებ)ის მიერ, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ დოკუმენტებს, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2.9.2 პრეტენდენტის მიერ დოკუმენტების გაცნობის მოთხოვნა არ აჩერებს ამავე შესყიდვის ელექტრონული პროცედურებს.

დანართი N1

შინაგან საქმეთა სამინისტროს
ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორს
ქალბატონ თია მელაძეს

ქალბატონო თია,

პრეტენდენტი ---------- (ს/კ ---------- ტელ: მის:) დაინტერესებას გამოხატავს მონაწილეობა მიიღოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ N---------- ელექტრონულ პროცედურაში.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ზემოაღნიშნული ელექტრონული პროცედურუთ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სრული დოკუმენტაცია დადგენილი წესით.

პატივისცემით

(ხელმომწერი პირის სახელი და გვარი თანამდებობა) /ხელმოწერა/

თარიღი